# ხელშეკრულება #4

ქ. თბილისი "04".01.2018წ.

ს.ს. "გლობალ ერთი" (შემდგომში "ოპერატორი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი მაჩიტიძის სახით ერთის მხრივ,

და სსიპ-„ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი„ (შემდგომში„აბონენტი„)

წარმოდგენილი დირექტორის გიორგი თავაძის სახით, მეორეს მხრივ,დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "ოპერატორის" მიერ "აბონენტისთვის" საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების გაწევა დაშვების კოდით "10-18"-ით შემდეგი სატელეფონო ნომრებიდან :

| | სატელეფონო ნომერი | | | სატელეფონო ნომერი | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2370267 | | 6 | 2371448 | |
| 2 | 2370265 | | 7 | 2381622 | |
| 3 | 2370291 | | 8 | 2380716 | |
| 4 | 2379945 | | 9 | | |
| 5 | 2372413 | | 10 | | |

## 2. მხარეთა ვალდებულებანი

2.1 "ოპერატორი" ვალდებულია:

2.1.1.უზრუნველყოს "აბონენტი"-ს შეუფერხებელი მომსახურეობა «გლობალ ერთი"-ს მოქმედი ტარიფებით, რომელიც მოცემულია დანართში და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.ს

2.1.2. გაუწიოს აბონენტს უფასო საინფორმაციო მომსახურება;

2.1.3. ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვამდე "აბონენტს" წარუდგინოს ანგარიში ელექტრონულ მისამართზე;

2.1.4. "აბონენტისათვის" მიწოდებული მომსახურეობის გაუარესებისა ან შეფერხებაზე შეტყობინების მიღების შემთხვევაში დაუყომებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები დაზიანების გამოსასწორებლად;

2.1.5. შეუზღუდოს აბონენტს მომსახურება ხელშეკრულებაში აღნიშნულ ყველა სატელეფონო ნომერზე თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტის გაფრთხილებიდან არა უადრეს 3 (სამი) დღისა, სამუშაო დღის წინა სამუშაო დღეს.

2.1.6. დავალიანების გადახდის შემთხვევაში აღუდგინოს აბონენტს მომსახურება არაუგვიანეს დავალიანების დაფარვიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

2.1.7. მომსახურების პირობებისა, ანგარიშსწორების ან ტარიფის მოსალოდნელი ცვლილების შესახებ 2 (ორი) კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს "აბონენტს".

2.1.8. აბონენტის პრეტენზია გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით, მიიღოს საუბრის ან\და ანგარიშის წარდგენის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

2.2 "აბონენტი" ვალდებულია:

2.2.1." მომსახურეობის გაუარესების ან შეფერხების შესახებ შეატყობინოს "ოპერატორს" სატელეფონო ნომერზე: 243 91 52;

2.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება ანგარიშის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

2.2.3. 2 (ორი) კვირით ადრე წერილობით აცნობოს "ოპერატორს" ხელშეკრულებაში მითითებულ მის რეკვიზიტებში ცვლილებების შესახებ;

2.2.4. ოპერატორის მიერ გაწეულ მომსახურებაზე პრეტენზიების წარდგენა მოახდინოს არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში საუბრის ან ანგარიშის მიღების მომენტიდან;

## 3. ხელშეკრულების ვადა

შეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.

ლშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა მიერ ნებისმიერ დროს, რის შესახებაც შემწყვეტი ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს 2 (ორი) კვირით ადრე;

## 4. ანგარიშსწორების პირობები

აბონენტი ოპერატორთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიღებული ანგარიშის საფუძველზე უნაღდო არიშსწორების არაუგვიანეს მომსახურების გაწევის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000(ათასი) ლარს.

## 5. ზოგადი პირობები

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.2. ხელშეკრულება ითვალისწინებს ფორსმაჟორულ გარემოებებს.

5.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები ბათილია.

5.4. ყველა დავა მხარეთა შორის წყდება ურთიერთშეთანხმებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლოს მეშვეობით.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორ) ეგზემპლარად. ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. მას თან ახლავს დანართი №1 (კომპანიის ტარიფები და აკრეფის წესები) და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**mxareTa rekvizitebi:**

0177, თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 45
ს.ს. "გლობალ ერთი", 201949918
პროკრედიტბანკის ცენტრალური ფილიალი
ა\ა GE60PC0133600100036106
კოდი MIBGGE22
sainformacio -sacnobaro nomrebi

243 91 43; 243 91 59;

ს.ს. "გლობალ ერთი"-ს
გენერალური დირექტორი

_______________ გ. მაჩიტიძე

აბონენტი: სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

იურიდიული მისამართი: თბილისი,მინდელის 10

საფოსტო მისამართი: 0186

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:TRESGE22
ანგ.კოდი; 7 0879 7235
საიდენტიფიკაციო კოდი: 211346444

ტელეფონი: 591619917_

თანამდებობა: ინსტიტუტის დირექტორი

ხელის მოწერა: გიორგი თავაძე